პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი

08.07.2014

სხდომას ესწრებოდნენ:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მიშა კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;
ლიანა ზამბახიძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სხდომის მდივანი;
კახაბერ ერაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საქართველოს ბიზნესის აკადემია „SBA"-ს რექტორი, ეკონომიკის დოქტორი, სხდომის თავმჯდომარე.
დავით მჭედლიშვილი - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორი;
ჯუმბერ გაბრიელაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;
ალექსანდრე ეჯიბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამსახურის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. ირაკლი გომელაური - შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორი;
2. ნინო გომელაური - შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მენეჯერი;
3. ნაზო წიბლიაშვილი - შპს ინტერბიზნესის აკადემიის ოფისის მენეჯერის პროგრამის ხელმძღვანელი;
4. ანა ჭიღიტაშვილი- შპს ინტერბიზნესის აკადემიის კრიმინალისტის პროგრამის ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნინო ფეტვიაშვილი;
შორენა ჯაფარიძე;
ელენე გვენცაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს კახაბერ ერაძე, მდივნად კი - ლიანა ზამბახიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:15 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შაუმდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი ახორციელებს 9 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ყველა პროგრამა, ერთის გარდა, იყო ჯანდაცვის მიმართულებით. დაწესებულებას სურვილი ჰქონდა, განეხორციელებინა პრაქტიკოსი ბებიაქალის რუსულენოვანი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა.

პროგრამების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
	პრაქტიკოსი ბებიაქალის რუსულენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 090553	მეხუთე	პრაქტიკოსი ბებიაქალის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

შორენა ჯაფარიძემ ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების შესახებ, კერძოდ:

1. საგანამანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის მრავალკომპონენტიანი. ყველა კომპონენტი, გარდა მიმდინარე შეფასებისა, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის აქტიურობასა და პრეზენტაციას, არის ჩაშლილი და დაწვრილებით გაწერილი.

1.2 პროფესიული სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება ქულათა რანჟირება, სადაც ქულათა ქვედა ზღვარი 0-ს ნაცვლად 1-ს შეადგენს, შედეგად პროფესიული სტუდენტი ნებისმიერ შემთხვევაში, გარანტირებულად 1 ქულას მიიღებს.

1.3 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით „სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას“, თუმცა დაწესებულების მიერ

წარმოდგენილი პროგრამის თანდართულ სილაბუსებში დამატებით გათვალისწინებულია 2 საათი „შუალედური გამოცდის შედეგების განხილვაზე“.

1.4 წარმოდგენილ პროგრამასა და სილაბუსებში მითითებულია, რომ შუალედურ გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე არანაკლებ 10 დღეში, მაშინ როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მუხლი 4, პუნქტი 5 თანახმად, 10 დღის ვადა სტუდენტს ეძლევა დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

1.5 ექსპერტების აზრით, წარმოდგენილი პროგრამის მიზნებში არ არის მკაფიოდ ასახული ისეთი საგნის შესწავლის აუცილებლობა, როგორიცაა „პრაქტიკული სწავლის მეთოდები“, რომლის მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისთვის პროფესიული განათლების სწავლების მეთოდოლოგიის გაცნობა და შესწავლა, რათა მათ მომავალში გადასცენ მიღებული პროფესიული ცოდნა და უნარები სხვა სტუდენტებს.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულების პერსონალის პირად საქმეებში განთავსებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ იყო შესაბამისი წესით დამოწმებული.

2.2 ადმინისტრაციის მსგავსად, პროფესიულ მასწავლებელთა პირად საქმეებში მოთავსებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ არის დამოწმებული.

შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ დასახელებული შენიშვები სისტემური ხასიათის იყო და დაწესებულებას უკვე დაწყებული ჰქონდა მათი გასწორება. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, აღნიშნული საკითხები იყო რეკომენდაციები, თუ შენიშვნები. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ იგი წარმოადგენდა იმ საკითხებს, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში ასახა, როგორც შენიშვნები. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს შეეძლო თავად ემსჯელა, ჩაეთვალა თუ არა წარმოდგენილი საკითხები შენიშვნებად.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, აღნიშნა, რომ როდესაც აღნიშნული დაწესებულება გადიოდა ავტორიზაციას, მან ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა იმ მოტივით, რომ რეგიონში კურსდამთავრებულთათვის არ არსებობდა დასაქმების პერსპექტივა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მისთვის საინტერესო იქნებოდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ერაძე დაინტერესდა, თუ რატომ სურდა დაწესებულებას პროგრამის განხორციელება რუსულ ენაზე. ჯუმბერ გაბრიელაშვილის მოსაზრებაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯის ადმინისტრაციამ ჩაატარა კვლევა, რის შედეგადაც გამოიკითხნენ კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევის შედეგებით, გამოკითხულთა 36-37% იყო დასაქმებული შესაბამისი სპეციალობით. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესობა მარნეულის რეგიონში იყო დასაქმებული და ზოგიერთი მათგანი მასწავლებლის რანგშიც კი უბრუნდებოდა კოლეჯს.

კახა ერაძის შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხშირად მიმართავენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ სწავლის სურვილი და ამიტომ გადაწყვიტა დაწესებულებამ ქართულენოვანი პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე განეხორციელებინა რუსულ ენაზეც. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს უფლება, მიიღოს უცხო ქვეყნის მოქალაქეები და შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩარიცხოს ისინი სასწავლებლებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა რუსულენოვანი პროგრამის

შექმნა. საბჭოს წევრმა ალექსანდრე ეჯიბაძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო დაწესებულების კერძო ინტერესები.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მოუწოდა დაბრუნებოდნენ საკითხის განხილვას და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დასკვნაში დაფიქსირებულ 1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო გომელაურმა განმარტა, რომ მსგავს პრაქტიკას დაწესებულება მიმართავდა უკვე მეორე წელია და ეს ემსახურებოდა პროფესიულ სტუდენტებში თვითშეფასების უნარების განვითარებას. შეცდომების ერთობლივი განხილვა პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება უკეთ გაიაზრონ დავალების არსი, დაშვებული შეცდომები, რომლებსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამგვარი პრაქტიკა მისთვის იყო მისაღები, რადგან ეს ეხმარება სტუდენტებს დაშვებული შეცდომების გააზრებასა და ანალიზში. კახაბერ ერაძემ კითხვით მიმართა შორენა ჯაფარიძეს, არღვევდა თუ არა აღნიშნული ფაქტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს. შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ირღვეოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, რადგან მოცემული ნორმის თანახმად, სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამის თანდართულ სილაბუსებში შუალედური გამოცდის შედეგების განხილვისთვის დამატებით გათვალისწინებული იყო 2 საათი. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, თუ დაწესებულებას, სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, სურდა მსგავსი პრაქტიკის გაგრძელება, უმჯობესი იქნებოდა თუ მსგავსი შეხვედრები გაიმართებოდა სხვა ფორმატში. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამგვარი პრაქტიკის მთავარი მიზანი იყო სწავლების ხარისხის ამაღლება. შესაბამისად, მისი აზრით, აღნიშნული შენიშვნა არ იყო არსებითი ხასიათის.

1.4 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ტექნიკურ უზუსტობას. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სავალდებულო იყო თუ არა პროგრამაში დაფიქსირებული შუალედური გამოცდა და რატომ არ ეძლეოდა სტუდენტს დასკვნითი გამოცდის გადაბარების შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შუალედური გამოცდა იყო სავალდებულო და დასკვნით გამოცდასთან მიმართებით ადგილი ჰქონდა ტექნიკურ უზუსტობას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული უზუსტობა უკვე იყო გამოსწორებული.

1.5 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანი - „პრაქტიკული სწავლების მეთოდები სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაეცნოს პროფესიული განათლების სწავლების მეთოდოლოგიას და მომავალში საკუთარი ცოდნა სხვა სტუდენტებს გაუზიაროს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის სილაბუსი იყო შედგენილი სათანაო ტრენინგ-პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ამ ნაწილში შედეგის კომპონენტი მკაფიოდ იყო წარმოდგენილი და კარგი იქნებოდა, დაწესებულებას გაეთვალისწინებინა ანალოგიური მიზნების კომპონენტში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით გაითვალისწინებდნენ ექსპერტის მოსაზრებებს. შორენა ჯაფარიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პროგრამა სათანადო დონეზე იყო ნათარგმნი რუსულად.

საბჭოს წევრმა, ალექსანდრე ეჯიბაძემ კითხვით მიმართა ექსპერტს, დასტურდებოდა თუ არა იმ პედაგოგების კვალიფიკაცია, ვინც რუსულ ენაზე განახორციელებდა თეორიული საგნების სწავლებას. შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაცია დასტურდებოდა. მან

საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულება ანალოგიურ პროგრამას ახორციელებდა ქართულ ენაზე.

ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა შენობისა და მატერიალური რესურსის მდგომარეობით. შეკითხვაზე, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მატერიალურ რესურსთან მიმართებით შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული. შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ სამედიცინო კოლეჯს იჯარით ჰქონდა აღებული შპს მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფოს 560 კვ.მ ფართი. შორენა ჯაფარიძემ დამატებით განამრტა, რომ დაწესებულება ფლობდა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელ ინვენტარს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან: მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფო; მარნეულში არსებული შპს ,,ავერსის კლინიკა". დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რაიონში გაიხსნა ახალი კლინიკა, სადაც კოლეჯის კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლეოდათ, დასაქმებულიყვნენ მიმართულების შესაბამისად. ამასთან, კლინიკის ადმინისტრაციაც დაინტერესებული იყო წარმატებული კურსდამთავრებულების მიღებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის პრაქტიკოსი ბებიაქალის რუსულენოვანი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
	პრაქტიკოსი ბებიაქალის რუსულენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 090553	მეხუთე	პრაქტიკოსი ბებიაქალის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

2. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა ელენე გვენცაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშით, დაწესებულებას სურდა მოეპოვებინა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება: ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მე-3 საფეხურის, კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მე-4 საფეხურისა და პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ახორციელებდა თუ არა ჩამოთვლილი პროგრამების სხვა საფეხურებს დაწესებულება. ელენე გვენცაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ოფისის მენეჯერისა და პრაქტიკოსი ექთნის პროგრამებს დაწესებულება არ ახორციელებდა. საბჭოს წინაშე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ელენე გვენცაძე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამა შემუშავებულია დამსაქმებლებთან ერთად და ითვალისწინებს სხვადასხვა თეორიული კურსის ინტეგრირებულად სწავლების მეთოდს უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის გარშემო (კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნულ ცენტრში). პროგრამას თან ახლავს აღნიშნული ცენტრის დირექტორისა და ავერსის კლინიკის გენერალური დირექტორის დასკვნები და დადებითი შეფასებები.

1.2 ყველა წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსებში (გარდა პრაქტიკისა), სასწავლო კურსის მოცულობაში გათვალისწინებული დამოუკიდებელი მუშაობის საათები არის ჩაშლილი (მაგალითად: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სილაბუსით პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას ეთმობა 75 საათი, საიდანაც საშინაო დავალების შესრულება/თეზისების შედგენა/სლაიდების შედგენა - მოიცავს 67, ხოლო შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება, შესაბამისად 3 და 5 საათს). ის, თუ რა დროს მოანდომებს სტუდენტი ამა თუ იმ დავალების შესრულებას სახლში, ინდივიდუალურია და არ არის დათვლადი, ამდენად დამოუკიდებელი სამუშაოს ასეთი სახით გადანაწილება მასწავლებლების მიერ ფორმალურია.

ელენე გვენცაძემ აღნიშნა, რომ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან მიმართებით შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

1.2 შენიშვნაზე კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, აღნიშნული არ იყო არსებითი ხასიათის შენიშვნა, ვინაიდან ზოგადად სილაბუსში მოცემული ინფორმაციის რეალურად განხორციელება დამოკიდებული იყო სხვადასხვა გარეშე ფაქტორებზე, ისევე როგორც, დამოუკიდებელი სამუშაოს დეტალური გადანაწილება.

ელენე გვენცაძემ დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობაში მიმდინარეობდა მხოლოდ თეორიული კურსების სწავლება, პრაქტიკა კი ხორციელდებოდა შესაბამის პრაქტიკის ობიექტებზე, მაგალითად: სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, მოცემულ დაწესებულებასთან პრაქტიკის უზურნველსაყოფად ხელშეკრულების გაფორმება იყო საკმაოდ რთული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გაფორმდა ხელშეკრულება. საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა ექსპერტი სამხარაულის სახელობის ბიუროში. ელენე გვენცაძემ აღნიშნა, რომ ექპერტებმა ნახეს პროფესიულ სასწავლებელსა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დაწესებულების სტუდენტებს უზრუნველყოფდა პრაქტიკით. ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, შეუძლებელი იყო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს პროფესიული სტუდენტები უზუნველეყო პრაქტიკით, რადგან აღნიშნულ დაწესებულებაში შესვლა იყო მკაცრი კონტროლის ქვეშ. შესაბამისად, ჯუმბერ გაბრიელაშვილის მოსაზრებით, წარმოდგენილი კრიმინალისტის პროგრამა პრაქტიკით ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს სხდომაზე მოვიდა სწორედ სამხარაულის ბიუროდან, სადაც კოლეჯის 27 სტუდენტმა ჩააბარა გამოცდა. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს ინტერბიზსნესის აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს ბიუროში დაშვებაზე არნაირი პრობლემა არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფენეტი) მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - ჯუმბერ გაბრიელაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - ჯუმბერ გაბრიელაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - ჯუმბერ გაბრიელაშვილმა.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მეოთხე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:10 საათზე.

თავმჯდომარე
კახაბერ ერაძე

მდივანი
ლიანა ზამბახიძე